პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

28 იანვარი, ხუთშაბათი, 1988 წ.
№ 20 (9681) ⊙ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

დიდი გამოცდა სეულის ოლიმპიადაზე

29 იანვარს თბილისის სპორტის სასახლეში იწყება ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში. მონაწილეობენ: აშშ-ის, გდრ-ის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, მონღოლეთის, კანადის, რუმინეთის, პოლონეთის, სამხრეთ კორეის, სსრ კავშირისა და საქართველოს ნაკრები გუნდები.

დასაწყისი 10 და 17 საათზე.

საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობაზე ითქვა:

„უნდა მივაღწიოთ ფიზკულტურული მოძრაობის ნამდვილ მასობრივობას, რომ რესპუბლიკის თითოეული მცხოვრები და უწინარეს ყოვლისა, ახალგაზრდობა აქტიურად მისდევდეს სპორტს, რაც დიდი სახელმწიფოებრივი და პატრიოტული საქმეა“.

განვლილი გზა სასახელოდ უნდა გაგრძელდეს

გოლო ხანს ზუგდიდში საგრძნობლად გამოცოცხლდა ფიზკულტურულ სპორტული მუშაობა. აქ კარგად უხამებენ ერთმანეთს სპორტის ეროვნული და კლასიკური სახეობების შემდგომი განვითარებისათვის ზრუნვას.

გვესაუბრება საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი ბონდო ჯიქია.

დიდი ხანი არაა, რაც რაიკომის პირველ მდივნად ვმუშაობ, მაგრამ არ გამჭირვებია უშუალო კონტაქტი დამემყარებინა მშრომელებთან. მათთან სიახლოვე ბევრ რამეში მეხმარება. ჩვენ ადამიანებისაგან მოვითხოვთ გეგმების შესრულებას. მთ კი მარტო ეს არ აინტერესებთ. მაგალითად, რამდენჯერ უთქვამთ, რატომ არ უნდა ვიყოთ მოწინავენი ფიზკულტურასა და სპორტში, რატომ არ უნდა იყვნენ ჩვენი წარმომადგენლები რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებშიო. მართალნი არიან. მაგრამ რით დაგვეწყო? დავიწყეთ იმით, რომ ოდითგანვე ჩვენს ხალხში ძალსა და რბილში გამჯდარი — ეროვნული სპორტის სიამაყე, — ცხენოსნობა აღვადგინეთ. შეიქმნა საცხენოსნო კლუბი. რუხში აშენდა შესანიშნავი იპოდრომი. ადგილობრივი ჯიშის და წმინდა სისხლის ცხენები შეიძინეს კახათში, შამაგონში, კოკში... გადაწყვეტილი გვაქვს შევადგინოთ ცხენოსნური ტურიზმის მოყვარულთა ჯგუფი, რომელიც შერჩეული მარშრუტით იმოგზაურებს. ახალგაზრდებმა უნდა ისწავლონ ცხენზე ჯდომა, ჯირითი, შეიგრძნონ ის სიხარული და რომანტიკა, რასაც სიჩაუქე ანიჭებს ადამიანს, მოინახულონ ურთას მთა

იხ. მე.2 გვ

50-იანი წლები. ზუგდიდელი მხედრები მშობლიურ რაიონში გამარჯვებულები ბრუნდებიან.

„ლელოს“ თხოვნით

ოფიციალური განმარტება

გაცნობებთ, რომ სსრ კავშირის შრომის სახელმწიფო კომიტეტის 1987 წლის 12 ოქტომბრის № 706-26 განმარტების შესაბამისად სპორტში მწვრთნელ-პედაგოგებს, მათ შორის ფასიან ფიზკულტურულ-გამჯანსაღებელ ჯგუფებში მომუშავეთ, სამწვრთნელო-პედაგოგიური მუშაობის ჩატარება მაქსიმალური დატვირთვით შეუძლიათ მხოლოდ ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით ფასიან ფიზკულტურულ-გამჯანსაღებელ ჯგუფებში (კვირაში 36 საათის ხანგრძლივობით).

ეს სამუშაო შეთავსებითია და გასამრჯელო ფაქტიურად ნამუშევარი დროის 0,5 განაკვეთის ფარგლებში ანაზღაურდება იმავე წესით, რაც დადგენილია ფასიანი ფიზკულტურულ-გამჯანსაღებელ ლ ი ჯგუფების მწვრთნელ-პედაგოგებისთვის.

აღნიშნული მუშაკებისთვის სხვა საწვრთნელო-პედაგოგიური სამუშაოს შესრულება კვირაში 36 საათს ზევით დებულებით არ არის გათვალისწინებული.

ამ განმარტებით შეუძლიათ. იხელმძღვანელონ სპორტულმა სკოლებმა, რომლებიც სპორტის სახეობების მიხედვით თვითდაფინანსების პრინციპით გახსნიან სპორტული მიმართულების ჯგუფებსა და განყოფილებებს ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლებსა და ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლებში.

ვ. ბაუერი,
სსრ კავშირის სპორტსახკომის სპორტული რეზერვის სამმართველოს უფროსი.

საზეიმოდ გაიხსნა

გუშინ წყალტუბოში საზეიმოდ გაიხსნა მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ორწრიანი ტურნირი, რომელშიც რვა მოჭადრაკე მონაწილეობს. ტურნირში გამარჯვებული შემოდგომაზე მსოფლიოს ჩემპიონ მაია ჩიბურდანიძეს შეხვდება.

საზეიმო ხალამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარემ, ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეშ ვიქტორია სირაძემ.

მონაწილეებს მიესალმნენ მფრინავი კოსმონავტი, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი, საბჭოთა კავშირის ჭადრაკის ფედერაციის საპატიო თავმჯდომარე ვ. სევასტიანოვი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი გ. გვერდწითელი, საბჭოთა კავშირის მოჭადრაკე ქალთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი რ. ბილუნოვა, კურორტების სამმართველოს ტერიტორიული საბჭოს თავმჯდომარე ვ. ცხოვრებაშვილი, გოგონათა შორის საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ნ. ჯანჯღავა, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი თ. გიორგაძე.

საზეიმო გახსნაზე აუდერდა სსრ კავშირის, საქართველოსა და ფიდე-ს ჰიმნები.

შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა გ. გაჩეჩილაძემ მონაწილეებს გააცნო ტურნირის რეგლამენტი. წარუდგინა მსაჯთა კორპუსი და ჩაატარა კენჭისყრა. მოჭადრაკეები შემდეგნაირად განაწილდნენ: 1. ნ. გაფრინდაშვილი; 2. ა. ბრუსტმანი; 3. ჭ. არახამია; 4. ნ. ალექსანდრია; 5. ი. ლევიტინა; 6. ე. ახმილოვსკაია; 7. ი. ლიტინსკაია; 8. ნ. იოსელიანი.

ამრიგად, დღეს პირველ ტურში ერთმანეთს ხვდებიან: გაფრინდაშვილი — იოსელიანი, ბრუსტმანი — ლიტინსკაია, არახამია — ახმილოვსკაია, ალექსანდრია — ლევიტინა.

ბატუტზე მხტომელი ბათუნა ბენდიანიშვილი ჯერ მხოლოდ 9 წლისაა, მაგრამ უკვე რამდენიმე ხელოვნურად შეჯიბრებაში იასპარეზა. ხათუნამ (სურათზე მარჯვნივ) პირველმა მიუღოცა საქართველოს თასის გათამაშებაში გამარჯვება თავის ბიძაშვილს ლია ბენდიანიშვილს და ანა დოლონაძეს (წერილს ამ ასპარეზობის შესახებ, „ლელოს“ უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ).

უბნებს შორის კალათბურთელთა შეჯიბრება განახლდება

როგორც ადრე ვწერდით, „ლელოს“ კრიტიკულ გამოსვლას, იმის შესახებ, რომ ბოლო ხანებში თბილისში საგრძნობლად იკლო მასობრივ-გამჯანსაღებელმა ღონისძიებებმა, ოპერატიულად გამოეხმაურა კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტი.

დედაქალაქის კომკავშირელთა თაოსნობით თებერვალ-მარტში კვლავ განახლდება თბილისის უბნებს შორის ჩემპიონატი კალათბურთში.

შეჯიბრებაში მონაწილეობის მსურველებმა უნდა მიმართონ კომკავშირის რაიონულ კომიტეტებს. წინადადებები და მოსაზრებები კი უნდა მიაწოდოთ კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტს (რუსთაველის, 21).

ეძღვნება თბილისის უნივერსიტეტის 70-ე წლისთავს

26 იანვარს კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის სტადიონზე დაიწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი II ვაუ კალათბურთელთა საერთაშორისო ტურნირი.

თბილისის უნივერსიტეტის მოწვევით ტურნირში მონაწილეობენ: მოსკოვის, ბაქოს, ერევნის, ლოძის (პოლონეთი) უნივერსიტეტების გუნდები, აგრეთვე: ფიზკულტურისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტების, უნივერსიტეტის პირველი და მეორე ნაკრებები. ტურნირზე თანაბარი სიძლიერის გუნდებმა მოიყარეს თავი, ამიტომ მათ შორის დაძაბული ბრძოლაა მოსალოდნელი.

გუშინწინ ასპარეზობის პირველი შეხვედრები გაიმართა. საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების გუნდებმა წარმატებით აიღეს სტარტი. გაგაცნობთ შედეგებს: ფიზკულტურის ინსტიტუტი — ერევნის უნივერსიტეტი — 78:72; პოლიტექნიკური ინსტიტუტი — მოსკოვის უნივერსიტეტი — 116:105; უნივერსიტეტი-I — ბაქოს უნივერსიტეტი — 90:74; უნივერსიტეტი-II — ლოძის უნივერსიტეტი — 135:55.

ასეთი სახის შეჯიბრება წელს პირველად ტარდება თბილისში. ტურნირის მესვეურები და უმაღლეს სასწავლებელთა გუნდების მწვრთნელები ვარაუდობენ, რომ იგი ხელს შეუწყობს სტუდენტური კალათბურთის დონისა და პოპულარობის ამაღლებას. ქართველი სტუდენტებისთვის კი ტურნირი წინა ასპარეზობები იქნება საქართველოს მომავალი ჩემპიონატისა და რესპუბლიკური უნივერსიადისათვის.

ამ დღეებში კიროვის პარკში მრავლად იყრიან თავს კალათბურთის გულშემატკივრები. აქ შეხვდებით თბილისის „დინამოს“ წარმომადგენლებსაც და წარსულში სახელოვან კალათბურთელებსაც. ვეტერანები იგონებენ სტუდენტური კალათბურთის პირველ ნაბიჯებს საქართველოში, მის წარმატებით განვითარებას 30-50-იან წლებში, მსჯელობენ ქართული კალათბურთის ახლანდელ პრობლემებზე.

ია დანელია.

ჩესნოკოვმა დაამარცხა მაკინროუ

პორტლენდი (აშშ). აქ გაიმართა ჩოგბურთელთა საჩვენებელი მატჩი, რომელშიც მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი მოსკოველი ანდრეი ჩესნოკოვი და წარსულში მსოფლიოს პირველი ჩოგანი, უიმბლდონის ტურნირის არაერთგზის ჩემპიონი ჯონ მაკინროუ. გამარჯვება საბჭოთა სპორტსმენმა მოიპოვა — 6:3, 6:4.

მატჩი ჩატარდა ექსპერიმენტულ კორტზე, ხაზის მსაჯთა გარეშე. ისინი ელექტრონულმა სისტემამ შეცვალა, რომელიც დროულად და ზუსტად განსაზღვრავდა სად დაეშვა ბურთი — მოედანზე თუ მის ფარგლებს გარეთ. სპეციალისტების აზრით სისტემა ნორმალურად მუშაობდა.

შეხვედრის დამთავრების შემდეგ ამერიკელმა ჩოგბურთელმა გამარჯვება მიუღოცა ახალგაზრდა მეტოქეს, ჟურნალისტებს კი განუცხადა, რომ საბჭოთა სპორტსმენი ბოლო დროს შესამჩნევად დაოსტატებულა.

ᲒᲐᲜᲕᲚᲘᲚᲘ ᲒᲖᲐ ᲡᲐᲡᲐᲮᲔᲚᲝᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲡ

ᲓᲐᲮᲐᲡᲐᲠᲔᲑᲚᲘ

და ჯიხას ციხე. ჭკადუაშის ისტორიული ადგილები თუ ანაკლიის სანაპირო. ასეთივე ადორძნება სჭირდება ეროვნული სპორტის სხვა სახეობებსაც, განსაკუთრებით ლეობურის და ქართულ ჭიდაობას. დიახ, დღესდღეობით ამ სახეობებში ჩამოვრჩებით. სირცხვილი არაა ახალგაზრდებმა ცურვა არ იცოდნენ? ზღვა ორი ფეხის ნაბიჯზეა, ყველა სოფელში მდინარე ჩამოდის, ბავშვები კი ხელს ვერ შლიან წყალში. საცურაო აუზებს ეაშენებთ, მაგრამ აუზი ყველას ხომ ვერ გაწყდება?

ბოლო დროს ბევრი რამ გაკეთდა ჩვენში ფიზკულტურულია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაუმჯობესებლად. მარტო 1986-87 წლებში ამ მიზნით დაახარჯა 900 ათასი მანეთი. მიმდინარე წელს ეს ციფრი კიდევ გაიზრდება. კარგი სპორტული ბაზებია კახეთში, ზედ ეწერში, რუხში, ცაიშში, ახალსოფელში, რიყეში. საინტერესო სპორტული შეჯიბრებები იმართება ამ სოფლებში. რამდენჯერ შეუნერებულვარ სოფელში ახალგაზრდების პაექრობის საცქერლად.

საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში ჩვენი რაიონის დირსება ორი გუნდი იცავს — „ოდიში“ და „დარჩელი“. ადგილობრივი ახალგაზრდებით დაკომპლექტებული ეს გუნდები განსაკუთრებული შეფასებით არ სარგებლობენ. იქნებ ამიტომაც მოუხდათ მეორე ჯგუფში გადასვლა. ეგ არაფერი, პერსპექტიული ახალგაზრდები აქედანაც გაიკვლევენ გზას დიდი ფეხბურთისაკენ. გვეყოლება კარგი რეზერვი და არ იქნება „ყიდვა-გაყიდვა“, „გადმობიღება“, არაობიექტური მსჯელობა და სხვა უკეთმარათობა. კარგი იქნებ გუნდები საშეურნეო ანგარიშზე თუ გადავლენ. სპორტის ყველა სახეობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ფეხბურთში ეს გამართლებს.

მუშაობა ყველა სფეროში უნდა გარდაიქმნას და ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკებმაც უნდა შეძლონ. მისი ახლებურად წარმართვა. ამას წინათ რაიკომში მოვწვეთ ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკები. ბევრი პრობლემა წამოიჭრა, ყველა გადასაჭრელია, — იმის მიუხედავად, რას ეხება — სპორტულ ბაზებს თუ კადრების მომზადებას, მმდ ნორმატივების ნაბარებას, სპორტული ღონისძიებების მოწყობას თუ ნაშპიონატებში მონაწილეობის მიღებას, თანრიგოსნების თუ სპორტის ოსტატების მომზადებას და ასე შემდეგ. ერთი სიტყვით, ზღვა საქმეა გასაკეთებელი. და ეს მაშინ, როცა ფიზკულტურის კომიტეტში ერთი კაცი უძღვება საქმეს, პროფკავშირის ნებაყოფლობით ფიზკულტურულ ორგანიზაციას კი ორნახევარი საშტატო ერთეული აქვს — პარადოქსულია, მაგრამ ფაქტია. სპორტკომიტეტს მანქანაც არ აუღია, მისი წლიური ბიუჯეტიც ძალიან მცირეა. არა მგონია მარტო ჩვენს რაიონში იყოს ასე, ალბათ არც სხვაგან ულხინთ ამ ორგანიზაციებს. დიახ, ამ საქმეს უნდა გადაეხედოთ, იქნებ შტატი მივუმატოთ ერთეულად ორგანიზაციას:

ახლა ახალგაზრდობის შროლიდ მცირე ნაწილი ირჩევს ამ პროფესიას. იქნებ მიზეზი დაბალი ხელფასი იყოს ამ სოფლად არასასურველი საფოფლისურეო პირობები. არ შეიძლება აქვე არ ვთქვა — არ შეუფერებლა ბავშვს ფიზკულტურა და სპორტი თუ მას ამ საფერულს არაფერ ჩაუნერგავს. ხშირად სკოლებში ფიზკულტურის გაკვეთილს ხანდახანელი შეფიფოვები ატარებენ. ახა, რა ალეთის ფასრეულება შეეძლოთ 70 წელს მიღწეულ ქალს, თანაც ბავშვისთვის შეეხარვად შავებში ჩაცმულს. ეს ფენომენი მარტო ფიზკულტურის მასწავლებელს არ ეხება, ეს ეხება, ყველას; ვისაც სკოლაში უსწავლია მეშობა. დიდ ფრიფენულობის ეინეებთ ოჯახს, სადაც მიზანი იზრდება და ფრთიანებისგან სწავლობს ადამი და კარგის ეარჩევა. ფრთიანებ მარტო ფიზკულტურის ეასთან ალბათ ალარ ეარსებ. ეს ეხება ალბათ ეარსებ ალარ ეარსებ. ეს ეხება, ეს ეხება, ყველას; ეთანაც სკოლაში ეასწავლა ფეშობა. დიდ ფრიფენულობის ეინეებთ ოჯახს, სადაც ფიზიკური ალზრდა, სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბავშვს ოჯახში ეენიკა ალსწავლის პირველი ეიგულის ეაფა, ლამაზი ჩაცმა, საზოგადოებაში თავის დაჭერა და სხვა.

ფიზკულტურისა და სპორტისადმი გულგრილობამ ბავშვები გაანარჩია, 20-25 წლის ახალგაზრდებს ლაი დადგა. ტეეთის ფიზკულტურის შეთიდისტები, როცა ეზე ნორმატივის ჩაბარების გეგმას 100 პროცენტით „ასრულებენ“. ამ სასელეფოგანი ფენომენის ლონისძიებას ოფიციალურ თუ ატარებს ვინმე წესისამებრ. დიდი ხანია ბოეეეფოდან შეექმნა ფასიანი გამაჯანსაღებელი ჯგეფები, მაგრამ ასეთი ჯგეფი ფენოლად ზედა ეწერში გეაქეს, სხვაგან ამ საქმეს ადგილობრივი ხელმძღვანელები თავი ვერ მოიყარეს.

ოქტომბრის 70 წლისთავს ხელმძღვანელი შეეგებენ ზეგდიდელი ეეფენოლები, ანა ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკები ანთან ერთად. მარიალეა, ისინი საეეედერასაც ბეერს ამსახურეენ, ჩვენც ბეერს ვთხოეთ, მაგრამ ცხოვრება ასე მოითხოეს — მიღწეულთან არ უნდა დეეკმაყოფილდეთ.

ᲡᲐᲥᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ ეაქვეს სპორტულ სახეობად სამრთლოანად ითვლება ცხენოსნობა, ამაზე ისტორიული წყაროები გეარეწყენენ, ზეგდიდში კი ეს ტრადიცია ეფრი ძირეველია, ამიტომ გახდა ცხენოსნობა ძველებურად დღეს პოპულარული, ბევრელი სპორტული გუნდის შექმნა და ორგანიზებული წვრთნის დაწყება ეკავშირდება სამი. დარსლიას სახელს, რომელიც 50-ისი წლების დასაწყისში მიღეეწეოდა. მისი შეთაერობით ზეგდიდელ ცხენოსნებს არაერთხელ დაეცვით საქართველოს ნაკრების ლიხესა.

ერთი დროის მაგალს საქართველოში მიეწეკეს მიეცა ცხენოსნობა, მხოლოდ ამ რამდენიმე წლის წინათ გამოეფეთ ხელი. ზეგდიდში ამ საქმის ინიციატორი კახათის კალმეკურნეობის თავმჯდომარე, ჭიტო გეგეჭორი გახდა, მან ბერეელმა შეიძინა რიგორც ადგილობრივი, ისე წმინდა სისხლის ჯიშის სპორტული ცხენები, სპეციალური გაკეთა ინფორმი და სანეკეფოელი ამბორეობებიც ეაძარა. კახათ ამბა სოფლებშიც ეაეეს მხარი. ჭიტო გეგეჭორი რაიონის საცხენოსნო სპორტის ფედერაციის თავმჯდომარედ აირჩიეს. იგი ფლეეეეც უბარიანად უძღვება ამ ორგანიზაციას.

ზარმან გაზაფხულზე, დიდი ზეიმი ჩატარდა კახათში, პროგრამაში მთავარი ადგილი ცხენოსნობას ეჭირა. ბოლოო ასპარეზობა გაიმართა ცხენოსნობის ეროენულ სახეობებში. ბაკურებელმა ნინა „თარჩია“, „ეაბანი“, „ისარი“, „ცხენბერეთი“, „ბორეა“, „ბეერდაბა“. ეს იყო ულამაზესი სანახაობა. ეეტერანმა ცხენოსანმა ემელიანე ნაკეებამ ერთი კარგი — „ვერელაფერ“ გამართვის ტრადიცია გაიხსენა.

რიგორც ჩანს, ძველ-ძველში გამეფდარ ჩვეეას ხალხი ვერ ეეეწყეს, დღეს ბეეგდიდში ბეერი ახალგაზრდა ეარეკეთობს ცხენოსნობაში. ოთარ ჯიგაოძეს ბარმან გაგრაში საქართველოს ლია ჩემპიონატზე ბრწყინვალე გამარეეა მოიპოეა ლიბრეკლიანი გადაღებები.

ცხენოსნობის გარდა ზეგდიდში დიდი პოპულარობით სარგებლობდა სხვა ეროენული სახეობები. ეეტერანები სიამტკიცედ ეეებთან თე რიგორ ეეჯობრებიდნენ ეროენული ლეობურისა და ჭიდაობაში, ქართულ ჭიდაობაში ფალავნებიც კი ჭოლეეეენ, მაგრამ დღეს ზეგდიდში ათასი ერთიანი თე შეეერობებიან ლეობურთან სათამაშოდ, ქართული ჭიდაობა ეფრი ბეერი პოპულარობით სარგებლობს, თე�ა კარგი ხანი არც ხანერბბოეერად მიედიეზე. გაეეეგოთი საქიდაოს ხმა.

ᲠᲐᲒᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ პოპულარობით სარგებლობს კალათბერთი, ფრენბერთი, ხელბერთი, ეელეიბერთი, ბაზი, მძლეოლნობა, ძალოსნობა, ეშეოლდოსნობა, სრო�g, თავისეფალი ჭიდაობა, გამაჯანსაღებლი სექციები შეექმნა ეხეტერულ ტანეარეეში, ტეეოსში. ეეეეეეთი, ზეგდიდელმა სპორტსმენებმა რესპუბლიკის IX სპარტაკიადაზე III ადგილი დაიკავეს და რამდენიმე სპორტსმენი მოეემზადეს საქართველოს ნაკრებს.

დღეს მოსწავლე ახალგაზრდობის სამსახურში 3 კეთილმოწყობილი ფეხბურთის სტადიონი მძღეოლნობის სექტორებით, 32 სპორტული დარბაზი, 4 ხიგზეურთის კორტი, ერთი ლია და ორი საცურაო აუზი, ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის და ხელბურთის მოედნები. ბალე ექსპლოატაციაში შეეა ზეგდიდის ეეეურნეობა-ტექნიკუმის საცურაო აუზი (17X25), დარჩენილია და ახალი სოფლის სპორტული კომპლექსი. ჩქარი ტემპით მიმდინარეობს კოლხეთის, ახალი ამასოფლის, ახალი კახათის, რიყის, ეეეის, გრიგოლიანის ლია სპორტული მოედნების მშენებლობა.

ᲔᲥᲕᲗᲝᲗ რიგის — „საქართველოს“ კალმეურნეობის, რომლის ეაანიმიკური სიძლიერე ეეეეეეურნეობა: სპორტული ბაზები შესანიშნავია, ბოლო ხეთეწლეულში აქ სპორტული ნაგებობისთვის 650 ათასი მანეთი დახარჯა. ამჟამად სამი მარტივი ტიპის მოედანი, ხოლო სოფლის ცენტრში სპორტული კომპლექსი 3000 ადგილიანი ტრიბუნით. ბაზის ექნება სამბადეეი, ფრენაეაანი ორი ფეხბურთის, ორი ფრენბურთის, კალათბურთის, ხელბურთის მოედანი, ხიგზეურთის კორტები, საეეადაო მოედანი, სარბენი ბილიკი. აქ კარგა ხანია გადაეეენ მეფრაეეის საკითხი — ჭალეჭიდან ეეეს ბრეენულებთან ახალგაზრდები. კალმეურნეობის თავმჯდომარემ ზაურ თოდუამ რეკონსტრუქციები შეიძინა, დასრულებით 80 ათასი მანეთი მოახმარეს ლია სპორტულ მოედნებისა და საცურაო აუზის მშენებლობას.

ძნელია ზეგდიდის რაიონის ყველა სპორტული ბაზის დასახაეეება. ბევრგან კარგად მეშობენ, მაგრამ ეს არ ოფეეის ხსორიას, ტეაის, გრიგოლიანის, ერგეტის, დიდი ნეძის საზოგადოებრივ შეერნეობების ხელმძღვანელებმა. მათ უეჭირთ სოფლის ახალგაზრდების ინტერესების გათვალისწინება. იქნებ ამიტომაცა მათი შრომა საკმაოდ რენტაბელური. დრეა გათვალისწინონ მოწინაეეა გამოცდილება, მით უმეტეს ასეთი გამოცდილების მქონე შეერნეობები მეზობლად ეყეთ.

რაიონში გეელისტეკეილით ინსენებენ ერთ დროს ალბეულობის გაზეზე მდგარ სპორტის სახეობას — ეელისსპორტს. ადრე აქ, ზეგდიდში რამდენიმე სპორტის ოსტატი ყოფილა ეელისსპორტში, რომელთაც რესპუბლიკურ თუ საკავშირო შეჯიბრებებშიც გეიმარეეთ. მართალია, ინვენტარის ეოენა ეირს, მაგრამ წელს კელტურულ-სპორტულმა საკოორდინაციო სამეჭომ 40 ეელისაპედი შეიძინა. ეერეერობით შედეგი სანაბიელი არა აქვთ — რესპუბლიკურ შეჯიბრებაში 14 გუნდს შორის XII ადგილ დაიკავეს.

ერთი სიტყვით, ნაკლი ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს მეშობაში. მაგრეეეეელ ხელ სპირდება ბავშვთა სპორტს. გაეეჯობესების მოითხოეს შეეერნეეების საქმიანობა, ბევრი მაგალი დაბალი კვალიფიკაციისა, ზოგიერთ სამეეალი და 8-წლიან სკოლაში არც ერთი სექცია არ არის, ფიზკულტურული კოლექტივების ერთ ნაწილს ალი ვერ დაეწეეა ფორმალიზმისათვის. ხეგეეს ის გემეტებს, რომ ეკანასკნელ პერიოდში საგრძნობლად შეიეალა ფიზკულტურისა და სპორტისადმი დამოკიდებეეება. და არა მარტო სპორტსადმი, რაიონის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული ორგანოები ნაკლოვანებების გამოსასწორებლად ბრეენაეენ. შედეგ ათეული წლის განმეალობაში ბევრი გამოცდილება შეეიძინეთ. აქედან ნათლად ჩანს გასაეალი გზა, რომელიც ეკლეა სასაეელოდ უნდა გავრეელდეს.

ᲜᲘᲜᲝᲩᲙᲐ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲫᲔ,
„ᲚᲔᲚᲘᲡ“ ᲡᲐᲯ. ᲙᲝᲠ.
ᲖᲔᲒᲓᲘᲓᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ.

ჭოტო გეგეჭორი აჯილდოებს რაიონის ერთ-ერთ საუკეთესო მეკლარეს ოთარ ჯაფარიძეს.



ზეგდიდის ახალი ავტოდრომი.

ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲒᲚᲘᲡᲬᲘᲜᲐ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲘᲖᲜᲘᲡ ᲛᲐᲡᲗᲐᲜ

ᲮᲣᲚ რაღაც შვიდი თვის უკან ჩამოყალიბდა პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების ქუთაისის საქალაქო საბჭო, რომელმაც 204 ძირეულ-ფიზკულტურული კოლექტივი და ოთხი სპორტული კლუბი გააერთიანა. და აი, უკვე ამ დღეებში ამ მსხვილმა საზოგადოებამ პირველ ნაბიჯებზე, შედეგებზე, არსებულ პრობლემებსა და ხარვეზებზე იმსჯელა. კონფერენციამ კრიტიკისა და თვითკრიტიკის ატმოსფეროში ჩაიარა.

აღინიშნა, რომ სპორტული საზოგადოების გაერთიანების შემდეგ გაიზარდა მასობრივი შეჯიბრებების როგორც რაოდენობა, ისე ხარისხობრივი მაჩვენებლები. გაცილებით ამაღლდა თითოეული შეშაკის პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისადმი, მოსახლეობის ფართო ფენების გამაჯანსაღებელ-ფიზკულტურულ მოძრაობაში მასობრივად ჩაბმისათვის, დასვენების დღეებში ექცია სხვადასხვა შეჯიბრებებმა.

მაგრამ, ბუნებრივია, ახალშექმნილ საზოგადოებას ბევრი პრობლემა და გადასაჭრელი საკითხი აღელვებს. კონფერენციაზე განსაკუთრებით გავსვა ხაზი იმ ფაქტს, რომ ქალაქის მთელ რიგ საწარმო-დაწესებულებებში, ორგანიზაციებში ელემენტარული პირობებიც არ გაჩნიათ გამაჯანსაღებელი მეშაობისათვის, მმდ-ს ნორმატივების ჩაბარებისათვის. მეშა-მოსამსახურეების დიდი ნაწილი მოკლებულია ფიზკულტურის, აქტიური დასვენების საკეთეს — მასობრიობა ჯერ კიდევ ვერ უპასუხებს სადღეისო მოთხოვნებს. არის შემთხვევები, როცა შეჯიბრებები ფორმალურ ხასიათს ატარებს, ჯანმრთელობის სპარტაკიადებში ხშირად ერთი და იგივე ორგანიზაციები, ოჯახები, პიროვნებები მონაწილეობენ.

განსაკუთრებული ყურადღება მიეპყრო ფასიანი მომსახურების გაუმჯობესების საკითხებს, ბაზების მდგომარეობას, რომელთა დიდი ნაწილი კეთილმოწყობელია და ამიტომ მათი მაქსიმალური დატვირთვა არ ხერხდება. აღინიშნა, რომ მეტი მეშაობაა საჭირო სტუდენტ ახალგაზრდობასთან, ისინი კვლავ ინერტულობას იჩენენ და თავს არიდებენ სპორტულ სექციებში შეცადინეობას.

საქალაქო კონფერენციის მონაწილეებმა გამოთქვეს რწმენა, რომ ერთიანი, შემოქმედებითი და ენერგიული მეშაობით, ურთიერთგამოცდილების გაზიარებით შეძლებენ არსებული პრობლემების დაძლევას. მიიღეს დადგენილება, რომელიც მათი შემდგომი საქმიანობის საპროგრამო დოკუმენტი იქნება.

კონფერენციამ პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების ქუთაისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარედ თემურ ერემეიშვილი აირჩია.

ᲗᲐᲛᲐᲖ ᲙᲝᲚᲮᲘᲫᲔᲚᲘ,
„ᲚᲔᲚᲘᲡ“ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ.
ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ.

ქართულ ჭიდაობაში საქართველოს სოფლებისა და ქალაქების უბნებს შორის რესპუბლიკური შეჯიბრება საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრიზზე უკვე ტრადიციად იქცა.

შაბათს, 30 იანვარს, თბილისის სახელმწიფო ცირკის სარბიელზე ერთმანეთს შეხვდებიან ყვარლის რაიონის სოფელ ახალსოფლისა და ქარელის რაიონის სოფელ ფცას წარმომადგენლები. შემდეგ კი ორნა დაეთმობათ ტიბაანის (სიღნაღი) და გიორგიწმინდის (საგარეჯო) ფალავნებს. გამოვლინდება აგრეთვე ამსოლუტური პირველობის გამარჯვებული.

დასაწყისი 12 საათზე.

გასულ შაბათს თბილისის გუნდმა მოუგო წყნეთის ნაკრებს — 7:2. გორელებმა სძლიეს ქუთაისელებს — 6:3.

I ლიგის წყალბურთელთა საკავშირო პირველობა

შარშან დებიუტანტი, წელს?

წყალბურთის მოყვარულები დიდი ინტერესით ელოდნენ საკავშირო ჩემპიონატის დაწყებას. და აი, დამთავრდა უმაღლესი ლიგის წყალბურთელთა ჩემპიონატის I ტურის მატჩები, 29 იანვარს კი სტარტს აიღებს I ლიგის ბინადართა ასპარეზობაც.





თბილისის ასკ-ს წყალბურთელთა გუნდი და მწვრთნელი ჩ. ქართველიშვილი

იმის შესახებ, თუ თბილისელი დინამოელები როგორ მოემზადნენ ახალი სპორტული სეზონისათვის და როგორ დაამთავრეს I ტურის მატჩები, ჩვენ უკვე ვიუწყებოდით. ახლა საუბარი გვექნება I ლიგის წარმომადგენელ თბილისის ასკ-ს წყალბურთელებზე, რომლებსაც, იმავ დროს, რესპუბლიკის № 3 უმაღლესი სპორტული დაოსტატების სპორტსკოლაც მეურვეობს.

ამ გუნდის დებიუტი, როგორც გულშემატკივრებმა იციან, შარშან I ლიგაში შედგა. ბუნებრივია, მაშინ დებიუტანტის მთავარი საზრუნავი ლიგაში ადგილის შენარჩუნება იყო, რაც მეტად საძნელო საქმე გახლდათ. საძნელო იყო იმდენად, რამდენადაც ლიგის ბინადართა რაოდენობა ერთბაშად ოთხი გუნდით უნდა შემცირებულიყო. თბილისელებმა მიზანს მიაღწიეს.

და აი, ახალი სპორტული სეზონიც მოვიდა. თბილისელებს, და არა მხოლოდ თბილისელებს, წლეულს უფრო მწვავე ბრძოლები მოელით, ვინაიდან ლიგის შემადგენლობა ახლა გაცილებით ძლიერი და მცირეა. ამასთან, წლეულს ლიგას კიდევ ერთი გუნდი უნდა გამოეთხოვოს.

— წლეულს მართლაც მეტად დაძაბული სეზონი მოგველის. — გვეუბნება გუნდის უფროსი მწვრთნელი ზაურ ქართველიშვილი, — მაისამდე ტური მოჰყვება, შეჯიბრება-შეჯიბრებას და სულის მოთქმის საშუალება არც გვექნება. გარდა ამ მატჩებისა, გამოვალთ შეიარაღებულ ძალთა საკავშირო პირველობაზე. ჩვენი გუნდის ხუთიექვსი წარმომადგენელი მონაწილეობას მიიღებს 1968-69 წლებში დაბადებულ წყალბურთელთა საკავშირო პირველობაზე...

⊙ ხომ არ გაძნელდა გუნდის მომზადება ახალი დაძაბული სეზონისთვის?

— დიდ ყურადღებას ვუთმობდით საერთო და ფიზიკურ მომზადებას, ვხვეწდით ტექნიკასა და ტაქტიკას. მზადების პერიოდში მინსკში საკონტროლო შეხვედრები გავმართეთ I ლიგის ბინადარ კაუნასის „ბანგასთან“, კიშინიოვის გუნდთან, მინსკის წყალბურთელთა ნაკრებთან, ამავე ქალაქის არმიელთა გუნდთან, და ლვოვის „დინამოსთან“, რომლებიც უმაღლეს ლიგაში გამოდიან. ლვოველ და მინსკელ თანაკლუბელებთან დავმარცხდით, დანარჩენ შეხვედრებში კი გავიმარჯვეთ. ამ თამაშებმა გვიჩვენა, რომ ჩვენი გუნდი საბრძოლო მზადყოფნაშია. ეს იმ წაგებულ შეხვედრებშიც იგრძნობოდა. ამ მატჩებში განსაკუთრებით კარგად გამოვიდა მწვრთნელ-მოთამაშე გენადი ქათამაშვილი. მინდა გამოვყო გიორგი წულაძისა და ვასილ ცოტაძის ჩინებული თამაშიც. მინსკის შემდეგ თბილისში ვვარჯიშობდით. აქ საკონტროლო შეხვედრა ჩავატარეთ თბილისის „დინამოსთან“, მატჩი მინიმალური ანგარიშით წავაგეთ.

⊙ შარშან შემოდგომაზე თბილისში ექსპლოატაციაში შევიდა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სპორტული კომპლექსი, რომელსაც საცურაო აუზიც აქვს, ეს აუზი თქვენ გადმოგეცათ სავარჯიშოდ და, ვფიქრობთ, წვრთნისათვის კარგი პირობები უნდა გქონდეთ.

— სამწუხაროდ, მშენებლების ნახელავით კმაყოფილნი არა ვართ. მთლიანად გასარემონტებელი გახდა საშხაპეები, სანტექნიკა... ბევრ რამეს ჩვენი ხელით ვაკეთებთ, აუზი კი წყალბურთის სათამაშოდ მცირე ზომისაა. და მაინც, უნდა ვაღიარო, რომ ამ აუზით კმაყოფილნი ვართ, რადგან მისი ბატონ პატრონები გავზდით და ვარჯიშში ხელს არავინ გვიშლის. ამასთან, კარგად აღჭურვილი სპორტდარბაზიც იქვეა. კვირაში ერთხელ ვაკის საცურაო აუზს გვითმობენ. ასეა თუ ისე, ბედს მაინცდამაინც არ ვემდურით.

⊙ იმის გამო, რომ შარშანდელთან შედარებით თქვენს ლიგაში ოთხით ნაკლები გუნდი გამოდის, იქ კვლავ ადგილის შენარჩუნებაზე უნდა იფიქროთ თუ წლეულს განსხვავებული გეგმები გაქვთ?

— ახლა VII-VIII ადგილებისთვის ბრძოლას ვაპირებთ. ვფიქრობთ, რომ ჩვენზე წინ აუცილებლად იქნებიან მოსკოვის „ტორპედოს“, ლენინგრადის „ბალტიკასა“ და ტაშკენტის „მეხნატის“ გუნდები, რომლებსაც დიდი გამოცდილება აქვთ და I და უმაღლეს ლიგებს შორის ხშირად მოგზაურობენ. ძლიერი გუნდებია აგრეთვე ვოლგოგრადის „სპარტაკი“, კაუნასის „ბანგა“, მოსკოვის „მაიაკი“ და კიშინიოვის უმაღლესი სპორტული დაოსტატების გუნდები. სამწუხაროდ, შარშან ჩვენი გუნდის ერთ-ერომა საუკეთესო წყალბურთელმა ახლედიანმა თბილისში გამართულ საკავშირო პირველობის დასკვნითი ტურის ერთ-ერთ მატჩში ხელი იღრძო და დიდხანს არ თამაშობდა. მართალია, იგი ახლა ვარჯიშობს, მაგრამ ტრავმა დღემდე აწუხებს, გუნდის დანარჩენი წევრები კი თავს კარგად გრძნობენ.

⊙ თქვენი გუნდი მოწოდებულია იმისთვის, რომ თბილისის „დინამოს“ შევსება მისცეს...

— დიახ, ასკ-ის გუნდი, უწინარეს ყოვლისა, სწორედ ამისთვის შეიქმნა და ჩამოყალიბდა. გვეამაყება, რომ ჩვენი გუნდიდან „დინამოში“ უკვე ორი მოთამაშე, ასათიანი და ლიპარტელიანი მიიწვიეს. ეს, რა თქმა უნდა, ჩვენი გუნდისთვის დიდი ზარალი იყო, მაგრამ, აი, თბილისის დინამოელმა კოლუაშვილმა გადაწყვიტა წყალბურთს გამოთხოვებოდა. ჩვენი დაჟინებული თხოვნით კოლუაშვილი ასკ-ში ითამაშებს. მისი ოსტატობა და გამოცდილება ჩვენს გუნდს დიდ სამსახურს გაუწევს. აქვე უნდა ვთქვა, რომ ძალზე გვაწუხებს ზოგიერთი ორგანიზაციული საკითხი, რომელიც ჯერჯერობით ვერ მოგვაერდა. უწინარეს ყოვლისა, გადასაწყვეტია გუნდის მატერიალური დახმარების პრობლემა, მაგრამ იმედია, ამ საქმესაც მოევლება.

საუბარი ჩაიწერა
ავთანდილ გურასაშვილმა.

ავტორის ფოტო.

ადამაშვილი, გენაშვილი და სხვები

როგორც ვიუწყებოდით, ლვოვში გამართულ ველოსიპედისტთა საკავშირო შეჯიბრებაში (სპინტერული პროგრამით) წარმატებით იასპარეზა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა ვლადიმერ ადამაშვილმა („დინამო“, თბილისი). აქ. ფაქტიურად, ერთმანეთის მიყოლებით ორი ტურნირი ჩატარდა.

პირველ შეჯიბრებაში ადამაშვილმა 200 მეტრზე გიტში იასპარეზა და ყველას აჯობა. კარგად გამოვიდა ჩვენი რესპუბლიკის მეორე წარმომადგენელი ოთარ მჭედლიშვილიც, რომელმაც აშხადელ ალექსანდრე სულთანოვთან ერთად მესამე ადგილი დაიკავა წყვილთა კილომეტრიან გიტში.

მერე, მცირე ინტერვალით, ამ ტურნირს ახალი შეჯიბრება მოჰყვა, რომლის მთავარი გმირი ისევ ვლადიმერ ადამაშვილი გახლდათ.

სპრინტერთა ასპარეზობას, ტრადიციულად, წინ უძღვის შეჯიბრება 200 მეტრზე გიტში. აქ ფავორიტებად ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი და მოსკოველი ნიკოლოზ კოვში ითვლებოდნენ (შეგახსენებთ, რომ ლვოვის ტრეკზე გამოდიოდა ჩვენი ქვეყნის ყველა უძლიერესი ველოსიპედისტი). პირველობაც სწორედ მათ გაინაწილეს ერთმანეთში. გამარჯვება კოვშს ხვდა, ადამაშვილი კი მეორე იყო.

სამგიეროდ სპრინტერთა ასპარეზობაში ქართველმა ველოსიპედისტმა რევანში აიღო. მერვედფინალში კენჭისყრით იგი თავის მთავარ კონკურენტს შეხვდა, რომელსაც ერთი რბოლა უკვე წაგებული ჰქონდა და მერვედფინალში მონაწილეობის უფლება „იმედის სერიაში“ გამარჯვებით მოიპოვა. ადამაშვილმა, ამჯერად, ბრწყინვალედ, ფაქტიურად უშეცდომოდ წარმართა რბოლა და ჩვენი ქვეყნის უძლიერესი სპრინტერი პირწმინდად დაამარცხა (კოვში ამ წაგებით გამოეთიშა შეჯიბრებას და საბოლოოდ 21-ე ადგილზე დარჩა).

ადამაშვილმა მომდევნო რბოლებიც უნაკლოდ ჩაატარა და მოიგო სპრინტერთა შეჯიბრება. ეს უკვე მეორე შემთხვევაა ამ მოკლე დროში, როცა ადამაშვილი სპრინტერთა საკავშირო ტურნირს იგებს.

აქვე გვინდა ვახსენოთ მეორე ქართველი ველოსიპედისტის გოჩა ბეკაშვილის („დინამო“, თბილისი) ბრწყინვალე გამოსვლა ჯგუფურ რბოლასა და გიტში 1 კილომეტრზე. პირველ სახეობაში მან ყველას აჯობა და მთავარი პრიზი დაიმსახურა, გიტში კი მეორე შედეგი (1.05,9) აჩვენა.

პარალელურად მოეწყო იუნიორთა ტურნირიც, რომელშიც იმარჯვა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა ანდრია კარბელაშვილმა; სპრინტერულ მრავალჯიდში (ომ-ნიუმი) იგი მეორე იყო.

9 თებერვალს მოსკოვში კრილატსკის ოლიმპიურ ტრეკზე დაიწყება სპრინტერთა ზამთრის საკავშირო ჩემპიონატი, რომელიც სეულის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი იქნება. ჩვენს ველოსიპედისტებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ლვოვის ტრეკზე, აქაც შეუძლიათ თქვან თავისი სიტყვა.

ჩემპიონია იამზე თვაური

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა დედაქალაქის ქალთა 46-ე ჩემპიონატი ჭადრაკში.

ტურნირი ძალზე საინტერესო გამოდგა. უაღრესად რთულ და დაძაბულ ბრძოლაში 8 ქულით I ადგილი და ჩემპიონის სახელი მოიპოვა თბილისის. 181-ე სკოლის XI კლასის მოსწავლემ, ოსტატობის კანდიდატმა იამზე თვაურმა (მწვრთნელი ვლადიმერ ურიდია). მან ძალზე სტაბილურად ჩაატარა მთელი ტურნირი და სავსებით დამსახურებულად გაიმარჯვა.

7,5 ქულით II ადგილი დაიკავა გამოცდილმა ოსტატობის კანდიდატმა ლია სადუნიშვილმა (მწვრთნელი ოთარ თურქესტანიშვილი). ორივე მოჭადრაკემ მიიღო საქართველოს ქალთა ჩემპიონატის საგზურები.

6,5 ქულით III ადგილი წილად ხვდა ოსტატობის კანდიდატს ნათია წკეპლაძეს.

IV-VIII ადგილები 6-6 ქულით გაიყვეს მაია ხუციშვილმა, ნინო გელავამ, მაია მკრტჩიანმა და ინგა ხურცილავამ. უკეთესი კოეფიციენტით IV ადგილი და წკეპლაძესთან ერთად საქართველოს ჩემპიონატის ნახევარფინალური ტურნირის საგზური მაია ხუციშვილმა მოიპოვა.

თამარ ხუგაშვილი,
ტურნირის მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი, საერთაშორისო ოსტატი.

სურათზე: თბილისის ჩემპიონი იამზე თვაური (მარჯვნივ).

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ᲩᲔᲚᲔᲑᲐᲜᲘᲐ — ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ



მოსკოვი. კრილატსკის ოლიმპიურ ტრეკზე დაიწყო ზამთრის საკავშირო ჩემპიონატი გამოდევნებით რბოლაში. ინდივიდუალური შეჯიბრება 4 კილომეტრიან დისტანციაზე მოიგო მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა ლენინგრადელმა ვიაჩესლავ ეკიმოვმა. უფრო სწორად ბრძოლა შეწყდა მას შემდეგ, რაც ეკიმოვმა ფინალში ერთი წრით გაუსწრო თავის მუდმივ მეტოქეს, კლაიპედელ გინტაუტას უმარასს. არა და ეს რომ არ მომხდარიყო, ეკიმოვს შეეძლო მსოფლიო რეკორდზე უკეთესი დრო ეჩვენებინა, ვინაიდან ამ დღეს იგი საგრძნობლად უსწრებდა სარეკორდო რბოლის გრაფიკს. უმარასს ვერცხლის მედალი ხვდა, მის თანამემამულეს არტურას კასპუტისს კი ბრინჯაოს ჯილდო.

ჩერკესკი. აშშ-ს თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა მეორე შეხვედრაც ჩაატარეს საბჭოთა ათლეტებთან და ამჯერადაც იმავე ანგარიშით დამარცხდნენ — 4:6. ახლა შეერთებული შტატების მოჭიდავეები მონაწილეობას მიიღებენ თბილისის საერთაშორისო ტურნირში, რომელიც 29 იანვარს იწყება სპორტის სასახლეში.

ᲕᲐᲥᲔᲑᲛᲐ ᲓᲐᲕᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲡ

კანადის ქალაქ სენტ-ჯონსში დაიწყო მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მატჩები ვაჟთა შორის. შეგახსენებთ, ეს მერვედფინალური მატჩები „შემცირებული რეგლამენტით“ იმართება — თითოეული მათგანი 6-6 პარტიისგან შედგება. ამ მატჩების შვიდ გამარჯვებულს შეუერთდება მსოფლიოს ექსჩემპიონი ანატოლი კარპოვი და ეს რვა მოჭადრაკე ოლიმპიური სისტემით განაგრძობს ბრძოლას.

გთავაზობთ მერვედფინალური მატჩების პირველი-ორი ტურის შედეგებს: არტურ იუსუპოვი-იან ელვერტი — 1:0, 0,5:0,5; ნაიჯელ შორტი (ინგლისი)-დიულა საქსი (უნგრეთი) — 1:0, 1:0, იოჰან ჰაერტარსონი (ირლანდია)-ვიქტორ კორჩნოი (შვეიცარია) — 1:0 (1), ლაიოშ პორტიში (უნგრეთი)-რაფაელ ვაჰანიანი — 0,5:0,5, 0,5:0,5, ვალერი სალოვი-იან ტიმანი (ჰოლანდია) — 0,5:0,5, 0:5:0,5, კევინ სპრაგეტი (კანადა)-ანდრეი სოკოლოვი — 0,5:0,5, 0:1, ჯონათან სპელმეხი (ინგლისი)-იასერ სეირავანი (აშშ) — 0,5:0,5, 1:0.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗ

ბანგკოკი. ტაილანდის დედაქალაქში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის ფინალში დანიის ოლიმპიურმა ნაკრებმა ანგარიშით 2:1 დაამარცხა ავსტრიის „სვაროვსკი-ტიროლი“.

რსფსრ-ის ნაკრებმა ნახევარფინალში მარცხი იწვნია ავსტრიელი ფეხბურთელებისგან — 0:2.

სოფია. ბულგარეთის ქალაქ კაზანლიკში დაიწყო საერთაშორისო ტურნირი, დნეპროპეტროვსკის „დნეპრმა“ ანგარიშით 3:0 მოუგო ბულგარეთის „სლავიას“ — 3:0.

ᲥᲐᲚᲗᲐ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ქალთა ფეხბურთის თაობაზე ბოლო ხანებში ბევრი იწერება, უცხოეთის ქვეყნებიდან მოდის ცნობები ოფიციალურ შეჯიბრებათა შესახებ, ლაპარაკია იმაზეც, რომ უახლოეს წლებში ჩატარდება ქალთა მსოფლიო ჩემპიონატიც.

სულ ახლახან ცნობილი გახდა, რომ სსრ კავშირის პროფკავშირების ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმთან შეიქმნა ქალთა ფეხბურთის კომისია, რომლის თავმჯდომარედ აირჩიეს ლ. ვართანოვი. დღის წესრიგშია ვეტერან ფეხბურთელთა და ინვალიდ ფეხბურთელთა (ყრუ-მუნჯი სპორტსმენები) კომისიების შექმნა.

ᲥᲠᲗᲐᲛᲘ ᲐᲘᲦᲔᲡ

სინგაპურში მიმდინარეობდა საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ კანადის, მალაიზიის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩინეთისა და სინგაპურის გუნდები.

ჯერ კიდევ შეჯიბრების დასრულებამდე გამოირკვა, რომ კანადის ნაკრების ფეხბურთელებმა მოზრდილი ქრთამი აიღეს. ბრალი ედებათ ნორმანს, ვრაბლიჩს, მარინარიოს და ჩუზდენს, რომ მათ ქრთამის სახით 60 ათასი გირვანქა ინგლისური ფუნტი მიიღეს და არაოფიციალურად შეიტანეს, თავიანთ ქვეყანაში.

თუ ბრალდება დადასტურდა, კანადელი ფეხბურთელები ქრთამის აღებისთვის 5 წლის პატიმრობას მიიღებენ, მაგრამ კანადაში არალეგალური გზით ვალიუტის შეტანისთვის სასჯელი კიდევ უფრო მეტია — 10 წელი.

ᲙᲝᲜᲢᲐᲥᲢᲘ ᲐᲚᲓᲒᲔᲑᲐ

ინგლისისა და არგენტინის ფეხბურთის ფედერაციების მოლაპარაკების საფუძველზე 1988 წელს გაიმართება ამ ქვეყნების ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრა. საქმე ის არის, რომ 1982 წელს ამ ქვეყნებს შორის მომხდარი სამხედრო კონფლიქტის შემდეგ -მათ სპორტში კონტაქტი გაწყვიტეს, თუმცა მსოფლიოს უკანასკნელ ჩემპიონატზე ფეხბურთში მაინც მოუხდათ ერთმანეთთან შეხვედრა.

საქართველოს ჩემპიონატი წყალში ხტომაში

იმედის მომცემი სტარტი

მართალია, წყალში მხტომელთა რესპუბლიკურ ჩემპიონატში თბილისელთა გარდა ქუთაისის, აჭარისა და აფხაზეთის წარმომადგენლებიც გამოდიოდნენ, მაგრამ ეს შეჯიბრება საქართველოს დედაქალაქის პირველობას უფრო ჰგავდა. ასპარეზობის მასპინძლებს — თბილისელ სპორტსმენებს ოდნავ მაინც სერიოზული მეტოქეობა ვერავინ გაუწია.

ვაკის საცურაო აუზში მოასპარეზე სპორტსმენთაგან საუკეთესომ, აფხაზეთის წარმომადგენელმა კარინა მუსოიანმა 1-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში მხოლოდ მეშვიდე ადგილი დაიკავა, 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ასპარეზობაში კი მეცხრე იყო.

სამწუხაროდ, თბილისელ წყალში მხტომელთა გარდა, ყველა გუნდის წარმომადგენლებს, მეტნაკლებად, ვარჯიშის ცუდი პირობები აქვთ, სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ რესპუბლიკური ჩემპიონატის პრიზიორთა შორის, უფრო მეტიც, საუკეთესო ათეულში, წლების მანძილზე, თბილისელები დოდ აკეთებენ თავიანთ საქმეს. კარგადაც აკეთებენ. მაგალითად, ამ შეჯიბრებების მონაწილეებმა, პროგრამის ოთხ სახეობაში (იგულისხმება 3-მეტრიანი ტრამპლინიდან და კოშკიდან ქალთა და ვაჟთა, ხტომები) სპორტის ოსტატის შედეგი რვაჯერ აჩვენეს. ამგვარი მაჩვენებელი კიდევ ორით გაიზრდებოდა, ევროპის ჩემპიონი გიორგი ჩოგოვაძე უკონკურსოდ რომ არ გამოსულიყო.

ჩოგოვაძისთვის რესპუბლიკური ჩემპიონატი ერთგვარი სავარჯიშო ასპარეზობა გახლდათ. ჩვენი წყალში მხტომელთა ლიდერის უკონკურსოდ გამოსვლას თავისებური



ვახტანგ ბიჭაშვილი

დიანა მჭედლიძე

მინირებენ. ამიტომ, ბუნებრივია, ამ შეჯიბრებაზეც, როგორც ყოველთვის, თბილისელებმა გუნდურ პირველობაშიც იოლად გაიმარჯვეს. მომდევნო ადგილები დაიკავეს აფხაზეთის, აჭარისა და ქუთაისის წარმომადგენლებმა.

საბედნიეროდ, თბილისელებს ვარჯიშის კარგი პირობები აქვთ და კარგადაც ვარჯიშობენ. ისინი საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელის იური გუტიაკულოვის მეთაურობით ჩუმად და უხმაურგამართლება აქვს — სხვა სპორტსმენებს რესპუბლიკის ჩემპიონის სახელისა და საპრიზო ადგილების მოსაპოვებლად მეტი სტიმული მიეცათ. ამასთან, თავიანთ ლიდერთან ძალის გამოცდის საშუალებაც ჰქონდათ.

ეს შეჯიბრება, როგორც იური გუტიაკულოვმა გვითხრა, ჭაბუკთა II საკავშირო თამაშებისთვის საქართველოს ნაკრების ძირითადი შემადგენლობის საორიენტაციო განსაზღვრისათვის დიდმნიშვნელოვანი ასპარეზობა გახლდათ. ბუნებრივია, ნაკრების მთავარი ბირთვი მოგვიანებით ჩამოყალიბდება, მაგრამ უკვე ამთავითვე შეიძლება ითქვას, რომ წყალში მხტომელები კარგად ემზადებიან. უფროსმა მწვრთნელმა განსაკუთრებით შეაქო თავისი აღსაზრდელები, ვახტანგ ბიჭაშვილი და გოჩა გახარია. ბიჭაშვილმა უფროსთა შეჯიბრებაში საქართველოს ჩემპიონის ტიტული პირველად მოიპოვა, თანაც პროგრამის სამივე სახეობაში. მსაჯებმა მის ზოგიერთ ნახტომს საკმაოდ მაღალი შეფასება, 8, 8,5 ბალი მისცეს.

გახარია პირველად ასპარეზობდა საკმაოდ რთული, ახალი პროგრამით, სწორედ იმ პროგრამით, რომელიც მწვრთნელმა და აღსაზრდელმა მომავალ საკავშირო შეჯიბრებებზე თავიანთ მეტოქეებს უნდა დაუპირისპირონ. მიუხედავად იმისა, რომ გოჩა პირველად გამოდიოდა ასეთი პროგრამით, კოშკიდან ხტომაში მეორე ადგილი დაიკავა, ხოლო 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ასპარეზობაში მესამე იყო.

ვახტანგიცა და გოჩაც ჯერ თხუთმეტ-თხუთმეტი წლისანიც არ არიან და ამდენად, პერსპექტივაც საკმაოდ კარგი აქვთ.

იური გუტიაკულოვმა ქების სიტყვები არ დაიშურა იოსებ ელბაქიძის აღსაზრდელის ოლეგ ვასილჩენკოსა დ გიორგი ციბირაშვილის მისამართით, რომელსაც გელა აბულაძე ავარჯიშებს. მართალია, ოლეგს ჯერ თოთხმეტი, ხოლო გიორგის თორმეტი წელი არ შესრულებიათ, მაგრამ თავისზე უფროს კოლეგებს არ შეუშინდნენ და გაბედულად იბრძოლეს. ვასილჩენკომ 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში მესამე ადგილი დაიკავა, ხოლო ციბირაშვილი მესამე იყო 1-მეტრიანი ტრამპლინიდან ასპარეზობაში. ერთმაც და მეორემაც ასეთ წარმატებას, უფროსებთან პაექრობაში, პირველად მიაღწიეს.

საერთოდ, ამ შეჯიბრებისთვის ნიშანდობლივი იყო უმცროსი ასაკის სპორტსმენთა აღზევება. ყველაზე უფროსი ჩემპიონი, ოცდაორი წლისა, ლეილა გასპაროვა გახლდათ. ყველა დანარჩენი ჩემპიონი და პრიზიორი მასზე გაცილებით უმცროსი იყო.

შეჯიბრებაზე ყველაზე უკეთ მაინც ქალები გამოვიდნენ. ჩათვლა სპორტის ოსტატის შედეგი 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში, პირველ ექვს ადგილზე გასულმა სპორტსმენმა აჩვენა. კიდევ ორი



გოჩა გახარია

ოსტატის შედეგი კოშკიდან ხტომაში პირველ-მეორე ადგილზე გასულმა სპორტსმენებმა აჩვენეს.

ერთი სიტყვით, ჩვენმა წყალში მხტომელებმა, სპორტული სეზონის პირველსავე შეჯიბრებაზე, კარგი შედეგები აჩვენეს. კარგად დაწყებული საქმე კი, როგორც ამბობენ, საქმის ნახევარია.

ავთანდილ ჭყვიშელი,

ავტორის ფოტოები.

ქვარცხლბეკი

ქალები. 1-მეტრიანი ტრამპლინი. ლ. გასპაროვა — 287,88, დ. მჭედლიძე — 286,74, ნ. ალავიძე — 269,04; **3-მეტრიანი ტრამპლინი.** მჭედლიძე — 483,45, გასპაროვა — 462,99, ა. როსტიაშვილი — 454,02; **კოშკი.** მჭედლიძე — 382,29, როსტიაშვილი — 381,83, ნ. ნებიერიძე — 351.

ვაჟები. 1-მეტრიანი ტრამპლინი. ვ. ბიჭაშვილი — 324,63, ი. შუკუროვი — 318,36, გ. ციბირაშვილი — 270,29; **3-მეტრიანი ტრამპლინი.** ბიჭაშვილი — 514,98, ო. ვასილჩენკო — 496,83. გ. გახარია — 496,20; **კოშკი.** ბიჭაშვილი — 477,83, გახარია — 471,56, შუკუროვი — 435.

„ტემპოს“ ანკეტით

ბელგრადი. იუგოსლავიის ყოველკვირეული სპორტული გამოცემა „ტემპოს“ ანკეტით „სხვადასხვა ქვეყნის-ფეხბურთელთა ოსტატობა ევროპაში პირველი ადგილი მიეკუთვნა 1987 წლის სეზონში. „ტემპის“ გამოკითხვის შედეგად საბჭოთა ნაკრებმა 137,22 ქულა დააგროვა, მეორე ადგილზეა ჰოლანდიის გუნდი (129,07), მესამეზე — იტალია (119,72).

კონკურსის ძირითადი კრიტერიუმებია ევროპის ეროვნული ნაკრები გუნდების ოფიციალური შეხვედრები, ამასთან, მხედველობაში არ მიიღება სხვა კონტინენტების გუნდებთან ჩატარებული მატჩები. ანალიზის გაკეთებისას მხედველობაში ითვალისწინებენ შინ, სტუმრად და ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებულ თამაშებს, სათანადო ობიექტურობისთვის გუნდები 1946 წლის შემდეგ ჩატარებული თამაშების შედეგებით იყოფიან ძლიერ და სუსტ ჯგუფებად. ასეთი კვალიფიკაცია საშუალებას იძლევა ყველაზე სუსტი, მეხუთე ჯგუფიდან გუნდებს მეტი ქულა დაერიცხოთ უძლიერესი ჯგუფის წარმომადგენლებთან შეხვედრებში. ასე, მაგლითად, სტუმრად გამარჯვება პირველი ჯგუფის გუნდთან ფასდება 7 ქულით, ხოლო მეხუთე ჯგუფის გუნდთან — მხოლოდ 3 ქულით.

გალისის 50 ქულა

გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მეშვიდე ტურის მატჩები. ლიდერმა — ბელგრადის „პარტიზანმა“ მორიგი გამარჯვება მოიპოვა. ამჯერად შინ ტელ-ავივის „მაკაბი“ დაამარცხა — 85:77.

დიდი ინტერესით ელოდნენ თასის შარშანდელი მფლობელის მილანის „ტრეისერის“ თამაშს სალონიკში ადგილობრივ „არისთან“. ბერძენი გულშემატკივრების იმედები გამართლდა — გუნდმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა — 120:95. ყველაზე შედეგიანი მოთამაშე ამ მატჩში ევროპის საუკეთესო კალათბურთელი ნიკოს გალისი იყო, რომელმაც თავის კოლექტივს 50 ქულა შესძინა.

ტურის სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: „ორტეზი“ (საფრანგეთი) — „ბარსელონა“ (ესპანეთი) 95:83, „ნაშუა დენ ბოში“ (ჰოლანდია) — „სატურნი“ (გფრ) — 97:126.

დღეისათვის ფინალისტთა სატურნირო მდგომარეობა ასეთია:

	თ.	ქ.
„პარტიზანი“	7	6
„არისი“	7	5
„მაკაბი“	7	4
„ტრეისერი“	7	4
„სატურნი“	7	3
„ბარსელონა“	7	2
„ორტეზი“	7	2
„ნაშუა დენ ბოში“	7	2

ქალთა ანალოგიურ ტურნირში პირველი დამარცხება განიცადა ნოვოსიბირსკის „დინამომ“. პრაღაში მას ადგილობრივმა „სპარტამ“ აჯობა 76:70. ამის მიუხედავად საბჭოთა კალათბურთელები ლიდერობენ გათამაშებას. მათ ექვსი მატჩის შემდეგ 5 ქულა აქვთ. ნოვოსიბირსკის „დინამოსთან“ ერთად პირველ ადგილს იყოფს იტალიის „პრიმეჯი“. მომდევნო ადგილებზე არიან: იუგოსლავიის „იადინსტეო“ — 4 ქულა, „აგონი“ (გფრ) — 2, „სპარტა“ (ჩეხოსლოვაკია) — 1 და „ვერსალი“ (საფრანგეთი) — 1.

სარეკორდო ოლიმპიადა

ოტავა. კალგარის ოლიმპიურ თამაშებში, რომელიც კანადის ამ ქალაქში 13-28 თებერვალს ჩატარდება მონაწილეობას მიიღებს 59 ქვეყანა. უფრო სწორად ამდენმა ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა გამოთქვა სურვილი კალგარში ჩასვლაზე.

ეს ცნობილი გახდა საორგანიზაციო კომიტეტის მიერ მოწყობილ პრეს-კონფერენციაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ ადგილობრივი და უცხოელი ჟურნალისტები. როგორც ჩანს 1988 წლის ზამთრის ოლიმპიადა მონაწილეთა რაოდენობით სარეკორდო იქნება. ძველი რეკორდი დაფიქსირებული იყო 1984 წლის სარაევოს ოლიმპიადაში — 49 ქვეყანა.

კალგარში მოელიან ზამთრის სახეობათა 1750 წარმომადგენელს. მონაწილეთა შორის იქნებიან ტროპიკული ქვეყნების (ფიჯი, ანტილიის კუნძულები, იამაიკა) წარმომადგენლებიც, რაც ზამთრის ოლიმპიურ სახეობათა მზარდ პოპულარობაზე მიგვანიშნებს.



საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციამ **(ფია)** და ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ **(ფიხა)** შეაჯამეს გასული წლის შედეგები ავტოსპორტში:

მსოფლიო ჩემპიონატი კარტინგში. ფორმულა „C“ — **ალექსანდრო პიცინი** (იტალია).

მსოფლიო ჩემპიონატი კარტინგში. ფორმულა „E“ — **ერიკ ვანინი** (საფრანგეთი).

მსოფლიო ჩემპიონატი კარტინგში. ფორმულა „K“ — **ჯანპიეტრო სიმონი** (იტალია).

მსოფლიო თასი წრიულ ავტორბოლებში „ფ-3“ (ფორმულა-3) სარბოლო ავტომობილებით — **მარტინ დონელი** (დიდი ბრიტანეთი).

საერთაშორისო ჩემპიონატი წრიულ ავტორბოლებში „ფორმულა-3000“ სარბოლო ავტომობილებით — **სტეფანო მოდენა** (იტალია).

„ეკლსტოუნის ტროფეი“. ენიჭება „ფორმულა-1“-ის ავტომობილების „გრან-პრის“ გათამაშების საუკეთესო მომზადებისა და ჩატარებისათვის — **იაპონია.**

„ფორმულა-1“-ის ავტომობილების „გრან-პრის“ საუკეთესო ტელეტრანსლაციისთვის — **ავსტრალია.**

ფია-ს ოქროს მედალი — **„გუდიარი“** (ავტოსაბურავების დამამზადებელი ფირმა).

მსოფლიო ჩემპიონატი წრიულ ავტორბოლებში. საუკეთესო მარკა „ტურიზმის“ კლასის ავტომობილებს შორის — **„ფორდი“.**

მსოფლიო ჩემპიონატი წრიულ ავტორბოლებში. საუკეთესო მარკა „პროტოტიპის“ კლასის სარბოლო ავტომობილებს შორის — **„სილკ-კატ-იაგუარი“.**

მსოფლიო ჩემპიონი წრიულ ავტორბოლებში „პროტოტიპის“ კლასის სარბოლო ავტომობილებს შორის — **რაულ ბუნელი** (ბრაზილია).

მსოფლიო ჩემპიონატი ავტორალიში. საუკეთესო მარკა — **„ლანჩია“.**

მსოფლიო ჩემპიონი ავტორალიში (მრბოლებს შორის) — **იუხა კანკუნენი** (ფინეთი).

მსოფლიო ჩემპიონი ავტორალიში (შტურმანებს შორის) — **იუხა პიიროინენი** (ფინეთი).

„კოლინ ჩეპმენის ტროფეი“ „ფორმულა-1“-ის ავტომობილებით რბოლებში (ჩვეულებრივი ძრავებით ტურბოჩაბერვის გარეშე) ფირმებს შორის — **კენ ტირელი** (დიდი ბრიტანეთი).

„ჯიმი კლარკის ტროფეი“ ჩვეულებრივძრავიანი „ფორმულა-1“-ის ავტომობილებით მოასპარეზე მრბოლებს შორის — **ჯონათან პალმერი** (დიდი ბრიტანეთი).

მსოფლიო ჩემპიონი „ფორმულა-1“-ის ავტომობილებით რბოლებში — **ნელსონ პიკე** (ბრაზილია).

მსოფლიო ჩემპიონატი „ფორმულა-1“-ის ავტომობილებით რბოლებში კონსტრუქტორებს შორის — **ფრენკ უილიამსი** (დიდი ბრიტანეთი).

სპორტული წლის შედეგები

რედაქტორი

თ. გაჩეჩილაძე.

ხვალ, 29 იანვარს, თბილისის ხელოვნების მუშაკთა კულტურის სახლის სააქტო დარბაზში ჩატარდება პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების თბილისის საქალაქო საბჭოს პირველი კონფერენცია.

დასაწყისი 14 საათზე.

დელეგატების რეგისტრაცია 12 საათიდან.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 ~~6~~ ~~7~~ ~~8~~ ~~9~~ 10 11 12 13 14 15 16 17 ~~18~~ 19 20 უე 10637